ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი 04 მაისი, 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში – აკადემია), წარმოდგენილი რექტორის, პოლკოვნიკ ზაზა ჯაფარიძის, სახით და, მეორე მხრივ, სსიპ–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში–უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის, გიგა ზედანიას, სახით (შემდგომში – მხარეები), გამოხატავენ რა აკადემიასა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, იუნკერების/მსმენელებისა და სტუდენტების დაახლოება, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

2. მემორანდუმის ამოცანები

1. მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობით მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში ითანამშრომლონ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განხორციელების საკითხებში იმ მიმართულებებსა და დარგებში, რომლებიც რელევანტურია აკადემიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

ბ) დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი სპორტული ღონისძიებები;

გ) დაგეგმონ და განახორციელონ იუნკერთა/მსმენელთა/სტუდენტთა ერთობლივი პრაქტიკული სამეცნიერო კონფერენციები და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები;

დ) თემატურ საკითხებზე უზრუნველყონ ერთობლივი ლექცია-სემინარების ჩატარება;

ე) შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარონ ერთმანეთს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებაში;

ვ) იუნკერთა/მსმენელთა/სტუდენტთა სწავლების გაუმჯობესების მიზნით გაუზიარონ ერთმანეთს სწავლების (მათ შორის უცხოური ენების სწავლების) და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა/განხორციელების გამოცდილება;

ზ) ითანამშრომლონ ბიბლიოთეკების განვითარების საკითხებში.

3. პასუხისმგებლობა

მემორანდუმი დაფუძნებულია მხარეთა კეთილ ნებაზე. ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში მემორანდუმი არ ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს.

4. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ცალკეული ღონისძიებები ჩატარდება და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებებისგანხორციელდება მხარეთა შორის შემდგომი მოლაპარაკების საფუძველზე;
2. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;
3. მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში მხარეებმა შესაძლებლობის ფარგლებში, მილევად რეჟიმში, უნდა დაასრულონ ერთობლივად დაწყებული ყველა ღონისძიება;
4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია ერთი წლის მანძილზე მისი ხელმოწერის დღიდან. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5

ქ. თბილისი 0162, საქართველო

ტელ.: (+995 32) 22 00 09

ფაქსი: (995 32) 231 026; 220 009

ელფოსტა: uni@iliaiuni.edu.ge

ვებგვერდი: www.lliauni.edu.ge

რექტორი

გიგა ზედანია

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

მის.: ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კმ.

ქ. გორი, საქართველო

ტელ.: 577 199205 / 032 2 30 52 85

ელფოსტა: nda@mod.gov.ge

ვებგვერდი:

რექტორი

პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე